

შპს დათო

**ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა	9
2 მომზადების საფუძველი	9
3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	16
5 ფული და ფულის ეკვივალენტები	17
6 სავაჭრო დებიტორული დავალიანება	17
7 მარაგები	18
8 სხვა აქტივები	18
9 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	18
10 ძირითადი საშუალებები	19
11 არამატერიალური აქტივები	20
12 საწესდებო კაპიტალი	20
13 სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	21
14 გაყიდული საქონლის თვითღირებულება	21
15 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
16 სხვა ხარჯები	21
17 კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი)	21
18 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები	21
19 ფინანსური რისკების მართვა	22
20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	24
21 დაკავშირებული მხარეები	25
22 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	26
23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს დათოს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ნუგზარ დემეტრაშვილი

ნატო კალანდაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს დათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023

შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს დათოს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- საწარმოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ნუგზარ დემეტრაშვილი

დირექტორი



ნატო კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი



შპს დათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
შპს დათოს მენეჯმენტს და დამფუძნებელს**

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს დათოს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ, რომელზეც ჩვენ დამატებით გამოვთქვათ მოსაზრებას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ზომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

• გაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან გაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო



შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	10	1,575,849	1,628,072
აქტივის გამოყენების უფლება	9	73,843	97,005
არამატერიალური აქტივები	11	1,348	2,068
სხვა აქტივები	8	684,404	936,398
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,335,444	2,663,543
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
საგადასახადო აქტივები		-	46,015
მარაგები	7	7,301,020	7,558,078
საეჭრო დებიტორული დავალიანება	6	18,557	3,785
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	4,138,965	3,474,150
სულ მიმდინარე აქტივები		11,458,542	11,082,028
სულ აქტივები		13,793,986	13,745,571
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,344,026	1,344,026
გაუნაწილებელი მოგება		12,236,861	12,229,967
სულ კაპიტალი		13,580,887	13,573,993
ვალდებულებები			
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
საიჯარო ვალდებულება	9	74,094	105,199
სხვა ვალდებულებები		18,380	17,844
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		92,474	123,043
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
საეჭრო კრედიტორული დავალიანება		82,644	48,535
საგადასახადო ვალდებულებები		37,981	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		120,625	48,535
სულ ვალდებულებები		213,099	171,578
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,793,986	13,745,571

ნუგზარ დემეტრაშვილი

ნატო კალანდაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს დათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023

შპს ღათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	1,575,849	1,628,072
აქტივის გამოყენების უფლება	9	73,843	97,005
არამატერიალური აქტივები	11	1,348	2,068
სხვა აქტივები	8	684,404	936,398
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,335,444	2,663,543
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივები		-	46,015
მარაგები	7	7,301,020	7,558,078
საეკსპლუატაციო დებიტორული დავალიანება	6	18,557	3,785
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	4,138,965	3,474,150
სულ მიმდინარე აქტივები		11,458,542	11,082,028
სულ აქტივები		13,793,986	13,745,571
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,344,026	1,344,026
გაუნაწილებელი მოგება		12,236,861	12,229,967
სულ კაპიტალი		13,580,887	13,573,993
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	9	74,094	105,199
სხვა ვალდებულებები		18,380	17,844
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		92,474	123,043
მიმდინარე ვალდებულებები			
საეკსპლუატაციო კრედიტორული დავალიანება		82,644	48,535
საგადასახადო ვალდებულებები		37,981	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		120,625	48,535
სულ ვალდებულებები		213,099	171,578
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,793,986	13,745,571

ნუგზარ დემეტრაშვილი

დირექტორი

შპს ღათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023

ნატო კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	13	22,945,322	32,370,591
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	14	(18,161,167)	(23,764,269)
საერთო შემოსავალი		4,784,155	8,606,322
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(936,624)	(1,157,516)
საგადასახადო ხარჯები		(10,707)	(1,584)
სხვა ხარჯები	16	(56,134)	(15,477)
საპროცენტო შემოსავალი		201,055	231,870
საპროცენტო ხარჯი	9	(14,754)	(17,409)
სხვა შემოსავლები		15,923	4,467
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი)	17	(234,782)	(116,435)
მოგება დაბეგვრამდე		3,748,132	7,534,238
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(569,350)	(1,422,317)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		3,178,782	6,111,921
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		3,178,782	6,111,921

ნუგ ზარ დეპეტრაშვილი

ნატო კალანდაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს დათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023

შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	13	22,945,322	32,370,591
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	14	(18,161,167)	(23,764,269)
საერთო შემოსავალი		4,784,155	8,606,322
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(936,624)	(1,157,516)
საგადასახადო ხარჯები		(10,707)	(1,584)
სხვა ხარჯები	16	(56,134)	(15,477)
საპროცენტო შემოსავალი		201,055	231,870
საპროცენტო ხარჯი	9	(14,754)	(17,409)
სხვა შემოსავლები		15,923	4,467
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი)	17	(234,782)	(116,435)
მოგება დაბეგვრამდე		3,748,132	7,534,238
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(569,350)	(1,422,317)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		3,178,782	6,111,921
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		3,178,782	6,111,921

ნუგზარ დემეტრაშვილი

დირექტორი

შპს დათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023



ნატო კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს დათო
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
პერიოდის მოგება		3,178,782	6,111,921
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	15	91,091	137,112
კურსთაშორის სხვაობით მიღებული (მოგება) / ზარალი		234,782	116,435
საპროცენტო ხარჯი		14,754	17,409
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		3,519,409	6,382,877
მარაგების (ზრდა) / შემცირება		257,058	736,553
სავაჭრო დებიტორული დავალიანების (ზრდა) / შემცირება		(14,772)	2,812
სხვა აქტივების (ზრდა) / შემცირება		254,689	(129,031)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდა / (შემცირება)		21,614	33,545
საგადასახადო აქტივის / ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		83,996	(98,277)
სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		536	6,501
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული		4,122,530	6,934,980
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(14,034)	(36,157)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული		(14,034)	(36,157)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(3,171,888)	(8,054,737)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა		(31,105)	(33,642)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის დაფარვა		(14,754)	(17,409)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული		(3,217,747)	(8,105,788)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება		890,748	(1,206,965)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		3,474,150	4,782,662
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(225,933)	(101,547)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	4,138,965	3,474,150

ნუგზარ დემეტრაშვილი

ნატო კალანდაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს დათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023

შპს ღათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
პერიოდის მოგება		3,178,782	6,111,921
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	15	91,091	137,112
კურსთაშორის სხვაობით მიღებული (მოგება) / ზარალი		234,782	116,435
საპროცენტო ხარჯი		14,754	17,409
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		3,519,409	6,382,877
მარაგების (ზრდა) / შემცირება		257,058	736,553
სავაჭრო დებიტორული დავალიანების (ზრდა) / შემცირება		(14,772)	2,812
სხვა აქტივების (ზრდა) / შემცირება		254,689	(129,031)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდა / (შემცირება)		21,614	33,545
საგადასახადო აქტივის / ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		83,996	(98,277)
სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		536	6,501
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული		4,122,530	6,934,980
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(14,034)	(36,157)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული		(14,034)	(36,157)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(3,171,888)	(8,054,737)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა		(31,105)	(33,642)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის დაფარვა		(14,754)	(17,409)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული		(3,217,747)	(8,105,788)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება		890,748	(1,206,965)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		3,474,150	4,782,662
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(225,933)	(101,547)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	4,138,965	3,474,150

ნუგზარ დემეტრაშვილი

დირექტორი

შპს ღათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023



ნატო კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	1,344,026	14,172,783	15,516,809
2021 წლის წმინდა მოგება	-	6,111,921	6,111,921
გადახდილი დივიდენდი	-	(8,054,737)	(8,054,737)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,344,026	12,229,967	13,573,993
2022 წლის წმინდა მოგება	-	3,178,782	3,178,782
გადახდილი დივიდენდი	-	(3,171,888)	(3,171,888)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,344,026	12,236,861	13,580,887

ნუგ ზარ დეპეტრაშვილი

ნატო კალანდაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს დათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023

შპს დათო
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	1,344,026	14,172,783	15,516,809
2021 წლის წმინდა მოგება	-	6,111,921	6,111,921
გადახდილი დივიდენდი	-	(8,054,737)	(8,054,737)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,344,026	12,229,967	13,573,993
2022 წლის წმინდა მოგება	-	3,178,782	3,178,782
გადახდილი დივიდენდი	-	(3,171,888)	(3,171,888)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,344,026	12,236,861	13,580,887

ნუგზარ დემეტრაშვილი

დირექტორი

შპს დათო

თარიღი: 21 სექტემბერი, 2023



ნატო კალანდაძე

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნა 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს დათოს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას.

შპს დათო (ს/კ 202174315) დარეგისტრირდა 2001 წლის 1 მარტს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, სანაპირო კოსმონავტები №37.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა რკინის სამშენებლო მასალების იმპორტი და რეალიზაცია. კომპანიას აქვს ერთი სავაჭრო ობიექტი თბილისში: ფეიქრების ქ. №12.

შპს დათოს დამფუძნებელი, 100%-იანი მეწილე და დირექტორი არის ნუგზარ დემეტრაშვილი.

კომპანიაში 2022 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო 56 თანამშრომელი (2021 წელი: 51 თანამშრომელი).

შენიშვნა 2 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში ("ლარი").

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

შენიშვნა 3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ა) ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა";
- ბ) ბასს 37-ის შესწორებები - "წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"; და
- გ) ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ".

ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"

დოკუმენტი ბასს 16-ის "ძირითადი საშუალებების" შესწორებები მოითხოვს, რომ კომპანიამ აღიაროს იმ ნაწარმის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა, რომელიც შეიქმნა ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ მზადების პროცესში და, ასევე, დაკავშირებული დანახარჯები მოგება ან ზარალში, ნაცვლად იმისა, რომ ეს მიღებული თანხები გამოქვითოს აქტივის თვითღირებულებიდან. ეს ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.

ბასს 37-ის შესწორებები - "წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"

ბასს 37-ის შესწორებების - "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრება დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება წამგებიანი იქნება თუ არა.

ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

იმისათვის, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასს საიჯარო ქირის აღრიცხვის გამარტივებული მიდგომა, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი ყველა პირობა:

- საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალო საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;

შენიშვნა 3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (გაგრძელება)

ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ" (გაგრძელება)

- საიჯარო გადახდების შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთ გადახდებზე, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და
- იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

3.2 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მოუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები";
- ბ) ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებზე";
- გ) ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში";
- დ) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;
- ე) ბასს 8-ის შესწორებები - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სააღრიცხვო შეფასების განმარტება";
- ვ) ბასს 12-ის შესწორებები - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან".

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ასეთი სადაზღვევის ხელშეკრულებებისა და საწარმოს მიერ გამოშვებული დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებზე" - ბასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ნაშთის წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ასევე, უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულებების დაფარვის მნიშვნელობა.

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში" - ფასს 10-ისა და "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის - "ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში" - შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განზორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დაადასტურებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.

კომპანია არ მოელის სტანდარტების ძალაში შესვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები - "სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციისა და სააღრიცხვო შეფასების განმარტების შესწორებები" - იწვევს შემდეგი სტანდარტების ცვლილებებს:

- ფასს 7, რათა ნათლად ჩანდეს, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის, სავარაუდოდ, არსებითი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია;

- ბასს 1, რათა საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება მოეთხოვოს არა მნიშვნელოვანი, არამედ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ;

შენიშვნა 3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მკაცვში ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში" (გაგრძელება)

- ბასს 8, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ უნდა განასხვავოს საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და სააღრიცხვო შეფასების ცვლილება;

- ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 - "არსებითობის განსჯა", რათა საწარმოს ჰქონდეს მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყენოს არსებითობის ცნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართებით.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან - დოკუმენტმა - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან" - გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთი ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში წარმოშობს იდენტურ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთი ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს, როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება იდენტური დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები.

3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიჯნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

შენიშვნა 3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ზარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ექვექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ გაცემული სესხებისთვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პოტენციალში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა (დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5).

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მოხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირებულია თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასის 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე ადამტებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ზორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- შესაკუთრების რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (საეჭვო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ექვექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსაზღვრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: საღარიშში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებსა და ანბარებზე.

შენიშვნა 3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**3.5 უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ევრო	2.8844	3.5040
რუბლი	0.0368	0.0415

3.6 მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის საქმიანობის ნორმალურ პირობებში საგარეო გასაყიდ ფასს გამოკლებული მის შექმნაზე და წარმოებაზე დაზარალებული თანხები. მარაგების ღირებულება მოიცავს ყველა შესყიდვის ღირებულებას და ასეთის არსებობის შემთხვევაში, კონვერტაციის ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების თავიანთ ახლანდელ ადგილამდე და კონდიციამდე მისაყვანად. მარაგების შესყიდვის ხარჯები მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის და სხვა გადასახადებს (გარდა შემდგომში სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებისგან დაბრუნებადი გადასახადებისა), ტრანსპორტირების, მოპყრობის და სხვა ხარჯებს რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შესაძლებელია მარაგების შესყიდვაზე. სავაჭრო ფასდაკლებები, ფასდათმობები და სხვა მსგავსი საკითხები გამოაკლდება შესყიდვის ფასის განსაზღვრას. მარაგების შეფასებისთვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.7 საგაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და მათი გაზომვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალის თანხით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს საწყისი შუთანხმებული პირობების შესაბამისად მთლიანი თანხის მიღებას. ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და უიმედო ვალების ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში ადმინისტრაციულ ხარჯებში. როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღება შეუძლებელია, შესაბამისი მოთხოვნა ჩამოიწერება უიმედო ვალებში. უიმედოდ აღიარებული ვალის შემდგომ პერიოდში დაბრუნების შემთხვევაში შესაბამისი თანხა კრედიტდება ადმინისტრაციული ხარჯების ანგარიშზე.

3.8 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაბეგვრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

3.9 სხვა აქტივები

სხვა აქტივები ძირითადად მოიცავს გადახდილ ავანსებს, საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები თავდაპირველად აღიარდება გადახდილი თანხის ოდენობით და საჭიროებისამებრ კორექტირდება შესაძლო გაუფასურებით. ავანსები ითვლება გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სრულად მიიღოს ის საქონელი და მომსახურება, რაც გათვალისწინებულია მხარეებს შორის თავდაპირველი შეთანხმებით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ავანსები წარმოდგენილია გადახდის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით და არ გადაანგარიშდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ კურსზე.

3.10 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

შენიშვნა 3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**3.11 ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან აღმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიწისა და შენობების შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც გააჩნია შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. შეფასებული რეალური ღირებულება განხილულია, როგორც პირობითი საწყისი ღირებულება.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს, აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	განუსაზღვრელი
შენობა-ნაგებობები	25 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	25 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი
კომპიუტერული და კომუნიკაციის საშუალებები	2-5 წელი
საოფისე აღჭურვილობა	2-5 წელი
სხვა აქტივები	2-10 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

3.12 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია ამ აქტივისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის ლიცენზიას, რომელიც ამორტიზირდება 10 წელზე.

3.13 სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის პირობებში პროდუქტისა და მომსახურების შეძენაზე წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლისადმი. კრედიტორული დავალიანება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ხდება მისი გადაფასება ამორტიზირებული ღირებულებით ექვექური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შენიშვნა 3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**3.14 იჯარა**

2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ იჯარების აღრიცხვისთვის დანერგა ფასს 16 - "იჯარა", რომლის მიხედვითაც კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს ისეთი იჯარებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის მიხედვით კლასიფიცირებული იყო, როგორც "საოპერაციო იჯარა".

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის დაწვების თარიღისთვის აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს. აქტივის გამოყენების უფლება ფასდება ღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულს ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწვების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალისა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად. აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწვებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება ფასდება, როგორც იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება, რომელიც იჯარის დაწვების თარიღისთვის ჯერ განხორციელებული არ არის და რომელიც უნდა დადისკონტირდეს კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. საიჯარო ვალდებულებები მცირდება საიჯარო გადახდებით. თითოეული გადახდა ნაწილდება საიჯარო ვალდებულებასა და საპროცენტო ხარჯს შორის. საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი წარმოდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც საპროცენტო ხარჯი.

საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს. როდესაც საიჯარო ხელშეკრულება შეიცავს შეწყვეტის ან გაგრძელების არჩევანს და არსებითად სარწმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას, მოსალოდნელი საიჯარო გადახდები ან ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები შედის საიჯარო გადახდებში საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად.

ზოგადად, საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს;
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს;
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადაზე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

2022 წლის განმავლობაში მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი იყო 14.50% ლარში წარმოდგენილი იჯარებისთვის (2021 წელი: 14.92%).

3.15 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულება წარმოადგენს მიღებულ ავანსებსა და თანამშრომლებზე გადასახდელ ხელფასებზე წარმოქმნილ ვალდებულებას. სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ხარჯით.

3.16 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკურორბაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

3.17 შემოსავლების აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება რკინის სამშენებლო მასალების საცალო და საბითუმო რეალიზაციისგან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი, რომელიც შეესაბამება ფასს-15 "შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან" მოთხოვნებს:

- 1 მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
- 2 შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
- 3 გარიგების ფასის განსაზღვრა;
- 4 გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე;
- 5 შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს, ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შენიშვნა 3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.18 გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდვა აღიარდება საქონლის კონტროლის გადაცემისას, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

3.19 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.20 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მათი მოგება ზარალში ასახვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.21 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასის-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

შენიშვნა 4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ა) საიჯარო ვადის განსაზღვრა

საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი ან არ გამოიყენოს შეწყვეტის ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი).

შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტროლის ფარგლებში.

ბ) ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრა

როდესაც კომპანიას არ შეუძლია ადვილად განსაზღვროს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. შესაბამისად, ზღვრული სასესხო განაკვეთი საჭიროებს შეფასების გაკეთებას როდესაც კომპანიისთვის არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთები ან როდესაც საჭიროა მათი იმგვარად დაკორექტირება რომ ასახოს იჯარის პირობები.

ზოგადად კომპანია ზღვრულ სასესხო განაკვეთს აფასებს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით (როგორიცაა კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი კონკრეტული იჯარის მსგავს სესხებზე).

შენიშვნა 4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)**გ) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს საგარეო გამოყენებას, საგარეო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

დ) არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ე) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, საგალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახდო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

ვ) საკრედიტო ზარალის განსაზღვრა

კომპანია მოთხოვნების ამოღებადობის შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დაასკვნის, რომ კომპანია საგარეოდ მთლიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს, მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს.

შენიშვნა 5 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ქართული ლარი (GEL)	3,814,881	3,324,839
აშშ დოლარი (USD)	318,714	1,153
ევრო (EUR)	949	148,140
რუსული რუბლი (RUR)	4,422	18
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	4,138,965	3,474,150

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე. დეპოზიტები შედგება მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო სარგებელი ნომინალური 0.25-6.5%-მდე შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე. დეპოზიტებზე ღარიცხული საპროცენტო სარგებელი 2022 წლის განმავლობაში შეადგენს 201,055 ლარს (2021 წელი: 231,870 ლარი).

კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც BB-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

შენიშვნა 6 სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-22	31-დეკ-21
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	58,841	53,719
მინუს: საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	(40,284)	(49,934)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	18,557	3,785

საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი

2020 წლის 31 დეკემბერი	49,934
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	-
2021 წლის 31 დეკემბერი	49,934
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(9,650)
2022 წლის 31 დეკემბერი	40,284

შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 7 მარაგები

კომპანიის მარაგები მოიცავს ვაჭრობისთვის განკუთვნილ საქონელს, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგებს 7,301,020 ლარს (2021 წელი: 7,558,078). მოცემული მარაგები მოიცავს: კუთხოვანას (1,056,881 ლარი), შველერს (474,929 ლარი), მილს (2,643,748 ლარი), ფურცლოვანას (1,553,100 ლარი), რიკულს (86,347 ლარი), რულონს (398,124 ლარი), ზოლოვანას (377,088 ლარი), არმატურას (271,620 ლარი) და სხვა მარაგებს (439,183 ლარი).

შენიშვნა 8 სხვა აქტივები

	31-დეკ-22	31-დეკ-21
გადახდილი ავანსები	738,484	988,505
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-
მინუს: გაუფასურების ანარიცხები	(54,080)	(52,107)
სულ სხვა აქტივები	684,404	936,398
გაუფასურების ანარიცხი		
2020 წლის 31 დეკემბერი		(52,107)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში		-
2021 წლის 31 დეკემბერი		(52,107)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში		(1,973)
2022 წლის 31 დეკემბერი		(54,080)

შენიშვნა 9 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია ქირაობს ქონებას მისი საკუთარი გამოყენების მიზნით, კერძოდ მარაგების განსათავსებლად განკუთვნილი საწყობებისთვის. საიჯარო კონტრაქტები არის ძირითადად ფიქსირებული ვადით 1-დან 8 წლის ჩათვლით.

აქტივის გამოყენების უფლება კონკრეტული კლასების მიხედვით მოცემულია ცხრილში:

2022 წელი	მიწები	სულ
ღირებულება		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	210,368	210,368
დამატებები	-	-
ჩამოწერა	(31,678)	(31,678)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	178,690	178,690
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(113,363)	(113,363)
პერიოდის ცვეთა	(23,162)	(23,162)
ცვეთის ჩამოწერა	31,678	31,678
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(104,847)	(104,847)
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	97,005	97,005
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	73,843	73,843
2021 წელი	მიწები	სულ
ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	210,368	210,368
დამატებები	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	210,368	210,368
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(86,491)	(86,491)
პერიოდის ცვეთა	(26,872)	(26,872)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(113,363)	(113,363)
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	123,877	123,877
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	97,005	97,005

2022 წლის 31 დეკემბრისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების ნაშთები არის 73,843 ლარი და 74,094 ლარი. (2021 წელი: 97,005 ლარი და 105,199 ლარი). შესაბამისად, საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც საპროცენტო ხარჯი და შეადგენს 14,754 ლარს. (2021 წელი: 17,409 ლარი).

2022 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჰქონია საიჯარო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მოკლევადიან იჯარებთან.

იჯარებისთვის გადახდილი მთლიანი ფულადი სახსრები 2022 წლისთვის იყო 45,859 ლარი (2021 წელი: 51,051 ლარი) საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

შპს დათო
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 10 ძირითადი საშუალებები

2022 წელი	მიწა და შენობები *	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპ. და კომუნიკაციის საშუალებები	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	სხვა აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,509,974	188,074	42,082	249,746	56,578	330,525	2,376,979
დამატებები					14,034		14,034
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1,509,974	188,074	42,082	249,746	70,612	330,525	2,391,013
აკუმულირებული ცვეთა							
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(115,801)	(47,598)	(35,310)	(200,874)	(43,944)	(305,379)	(748,906)
პერიოდის ცვეთა	(23,369)	(6,844)	(997)	(16,440)	(5,206)	(13,403)	(66,258)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(139,170)	(54,442)	(36,307)	(217,314)	(49,150)	(318,782)	(815,164)
ნარჩენი ღირებულება							
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,394,173	140,476	6,772	48,872	12,634	25,146	1,628,073
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1,370,804	133,632	5,775	32,432	21,462	11,743	1,575,849
2021 წელი							
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	1,484,044	188,074	39,497	249,746	48,936	330,525	2,340,822
დამატებები	25,930	-	2,585	-	7,642	-	36,157
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,509,974	188,074	42,082	249,746	56,578	330,525	2,376,979
აკუმულირებული ცვეთა							
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(86,682)	(39,042)	(31,473)	(177,828)	(40,136)	(264,414)	(639,575)
პერიოდის ცვეთა	(29,119)	(8,556)	(3,837)	(23,046)	(3,808)	(40,966)	(109,332)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(115,801)	(47,598)	(35,310)	(200,874)	(43,944)	(305,380)	(748,907)
ნარჩენი ღირებულება							
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	1,397,362	149,032	8,024	71,918	8,800	66,111	1,701,247
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,394,173	140,476	6,772	48,872	12,634	25,145	1,628,072

* მიწა და შენობები გადაფასდა 2017 წელს და წარდგენილია პირობითი ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება წარმოადგენს 521,845 ლარს (2021 წელი: 508,685 ლარი). აღნიშნულ აქტივებს კომპანია კვლავ იყენებს საოპერაციო საქმიანობაში.

შპს დათო
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 11 არამატერიალური აქტივები

2022 წელი	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	6,309	6,309
დამატებები	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	6,309	6,309
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(4,241)	(4,241)
პერიოდის ცვეთა	(720)	(720)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	(4,961)	(4,961)
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,068	2,068
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	1,348	1,348
2021 წელი	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	6,309	6,309
დამატებები	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	6,309	6,309
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(3,333)	(3,333)
პერიოდის ცვეთა	(908)	(908)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	(4,241)	(4,241)
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2,976	2,976
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,068	2,068

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად გაცვეთილი არამატერიალური აქტივის პირვანდელი ღირებულებაა 1,996 ლარი (2021 წელი: 1,996 ლარი). აღნიშნულ არამატერიალურ აქტივებს კომპანია კვლავ იყენებს საოპერაციო საქმიანობაში.

შენიშვნა 12 საწესდებო კაპიტალი

შპს დათოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია დოლარში კომპანიის წესდების თანახმად. ეროვნულ ვალუტაში დამტკიცებული და განაღდებული საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 1,344,026 ლარს (2021 წელი: 1,344,026).

კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი 2022 წელს შეადგენს (3,171,888) ლარს (2021 წელი: 8,054,737 ლარი).

2022 წლის განმავლობაში განაწილებულ დივიდენდზე მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს 569,350 ლარს (2021 წელი: 1,422,317 ლარი).

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა შეწყვიტოს მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად, სხვა.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

შენიშვნა 13 სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

კომპანიის ძირითადი ოპერაციები ზორციელდება საქართველოში.

კომპანიის ძირითადი შემოსავალი მოიცავს რკინის სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2022 წელი	2021 წელი
იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლები	18,120,153	26,124,837
ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავლები	4,825,169	6,245,754
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	22,945,322	32,370,591

შენიშვნა 14 გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული რკინის სამშენებლო მასალების თვითღირებულებას. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 2022 წლის განმავლობაში იყო 18,161,167 ლარი (2021 წელი: 23,764,269).

შენიშვნა 15 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
პერსონალის ხარჯები	685,363	775,051
ცვეთა და ამორტიზაცია	91,091	137,112
ბანკის მომსახურების საკომისიო	79,124	92,657
უიმედო ვალების ჩამოწერა	-	52,508
კომუნალური ხარჯები	25,438	28,798
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	15,435	18,631
ტრანსპორტირება და შენახვის ხარჯი	15,273	13,906
საკომუნიკაციო ხარჯები	5,889	5,556
სხვა ხარჯები	19,010	33,297
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	936,624	1,157,516

შენიშვნა 16 სხვა ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
საქველმოქმედო ხარჯი	19,361	8,290
სხვა ხარჯი	36,773	7,187
სულ სხვა ხარჯები	56,134	15,477

შენიშვნა 17 კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი)

2022 წელს კურსთაშორის სხვაობით მიღებულმა ზარალმა შეადგინა 234,782 ლარი; (2021 წელი: 116,435 ლარი)

შენიშვნა 18 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები**18.1 სასამართლო დავები**

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის კომპანია არ არის ჩართული სასამართლო დავებში.

18.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. შესაბამისმა საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა დაიწუნონ ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის და საქმიანობისთვის განხორციელებული ტრანზაქციების ინტერპრეტაცია. საგადასახადო ორგანოები ხშირად იკავებენ უფრო მტკიცებით პოზიციას კანონმდებლობის და შეფასებების ინტერპრეტირებისას. შედეგად, შესაძლებელია დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და პროცენტების დაწესება.

შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 19 ფინანსური რისკების მართვა

19.1 საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არიან დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, რადგან კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები და ვალდებულებები.

19.2 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის

	ლარი	დოლარი	წარმოდგენილი ევრო გამოსახული ლარში	რუბლი	სულ ლარში
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,814,881	318,714	949	4,422	4,138,965
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	18,557	-	-	-	18,557
სხვა აქტივები (მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ)	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	3,833,438	318,714	949	4,422	4,157,523
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	17,254	65,389	-	-	82,643
საიჯარო ვალდებულება	74,094	-	-	-	74,094
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსების გარდა)	18,380	-	-	-	18,380
სულ ფინანსური ვალდებულებები	109,728	65,389	-	-	175,117
სავალუტო პოზიცია	3,723,710	253,325	949	4,422	3,982,406

2021 წლის 31 დეკემბრისათვის

	ლარი	დოლარი	წარმოდგენილი ევრო გამოსახული ლარში	რუბლი	სულ ლარში
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,324,839	1,153	148,140	18	3,474,150
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,785	-	-	-	3,785
სხვა აქტივები (მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ)	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	3,328,624	1,153	148,140	18	3,477,935
ფინანსური ვალდებულებები					
დავალიანება	6,789	41,746	-	-	48,535
საიჯარო ვალდებულება	105,199	-	-	-	105,199
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსების გარდა)	17,844	-	-	-	17,844
სულ ფინანსური ვალდებულებები	129,832	41,746	-	-	171,578
სავალუტო პოზიცია	3,198,792	(40,593)	148,140	18	3,306,357

შენიშვნა 19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

19.2 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, კომპანიაზე დიდ გავლენას არ ახდენს აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებები. ასევე გვიჩვენებს იმ შესაძლო ეფექტს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე, რომელსაც გამოიწვევს აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებები.

31 დეკემბერი, 2022

გაცვლითი კურსის ცვლილებები:		გავლენა	
		მოგება დაბეგვრამდე	კაპიტალი
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	20%	(50,665)	(43,065)
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	10%	(25,332)	(21,533)
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	20%	50,665	43,065
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	10%	25,332	21,533

31 დეკემბერი, 2021

გაცვლითი კურსის ცვლილებები:		გავლენა	
		მოგება დაბეგვრამდე	კაპიტალი
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	20%	8,119	6,901
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	10%	4,059	3,450
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	20%	(8,119)	(6,901)
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	10%	(4,059)	(3,450)

19.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიმართ არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის არაწარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, დარჩენილი მოსალოდნელი ვადიანობისა და არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები, მთლიანად დაფუძნებულია კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ნაშთი 31 დეკემბერი, 2022

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,138,965	-	-	-	4,138,965
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	18,557	-	-	-	18,557
სხვა აქტივები (მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ)	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	4,157,523	-	-	-	4,157,523
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	82,644	-	-	-	82,644
საიჯარო ვალდებულება	25,961	48,133	-	-	74,094
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსების გარდა)	18,380	-	-	-	18,380
სულ ფინანსური ვალდებულებები	126,985	48,133	-	-	175,118
ლიკვიდურობის სხვაობა	4,030,538	(48,133)	-	-	3,982,404
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	4,030,538	3,982,404	3,982,404	3,982,404	

შენიშვნა 19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

19.3 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ნაშთი 31 დეკემბერი, 2021

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,474,150	-	-	-	3,474,150
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,785	-	-	-	3,785
სხვა აქტივები (მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ)	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	3,477,935	-	-	-	3,477,935
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	6,813	-	-	-	6,813
საიჯარო ვალდებულება	19,308	78,703	7,188	-	105,199
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსების გარდა)	17,844	-	-	-	17,844
სულ ფინანსური ვალდებულებები	43,965	78,703	7,188	-	129,856
ლიკვიდურობის სხვაობა	3,433,970	(78,703)	(7,188)	-	3,348,079
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	3,433,970	3,355,267	3,348,079	3,348,079	

19.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა) და მისაღები დებიტორული დავალიანებიდან. ანგარიშგების დღისათვის კომპანიას არ აქვს სხვა ფინანსური აქტივები, ამიტომ მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული და ფულის ეკვივალენტები (ფული ბანკში)	4,138,965	3,474,150
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	18,557	3,785
სულ საკრედიტო რისკი	4,157,523	3,477,935

კომპანიის ფული განთავსებულია მაღალი სანდოობის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, რაც მენეჯმენტს აძლევს გარანტიას რომ არ არსებობს საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულსა და ფულის ეკვივალენტების ნაშთებთან.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის მენეჯმენტი ქმნის გაუფასურების ანარიცხს მაშინ, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნის ამოღებას. გარდა ამისა, საქონლის რეალიზაცია ძირითადად ხდება ანგარიშწორების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ოდენობის დებიტორული დავალიანება და, შესაბამისად, საკრედიტო რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი.

შენიშვნა 20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

20.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მოუხდედად ამ მდგომარეობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულად ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

შენიშვნა 20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები (გაგრძელება)**20.2 რეალური ღირებულების იერარქია**

კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის:

ღონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

ღონე 2 შეძგალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ ღონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შეძგალი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

ღონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შეძგალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შენიშვნა 21 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022

საიჯარო ვალდებულებები

მეწილეები	40,064
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	30,122
სხვა დაკავშირებული მხარეები	-
სულ	70,186

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წელი

	გადახდილი ღირებულება	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	3,065,000	6,871	75,000
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	7,450	37,500
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	19,500
სულ	3,065,000	14,321	132,000

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021

საიჯარო ვალდებულებები

მეწილეები	52,729
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	52,470
სხვა დაკავშირებული მხარეები	-
სულ	105,199

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წელი

	გადახდილი ღირებულება	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	8,054,737	8,806	75,000
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	8,440	37,500
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	25,533
სულ	8,054,737	17,246	138,033

შპს დათო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 22 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ კომპანიის დამფუძნებელზე გაიცა დივიდენდი 1,310,000 ლარის ოდენობით.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობითი ანგარიშგება

შპს დათო

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს "დათო"-ს ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება შპს "დათო"-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 21 სექტემბერს, რომელიც მოიცავდა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიზეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-A-865011

თარიღი: 25 სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო



Mooreabc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დათო“

ქთბილისი, დიდუბე – ჩუღურეთის რ-ნი, სანაპირო კოსმონავტები №37

Ltd "D A T O" Tbilisi, district Didube – Chugureti, Sanapiro Kosmonavtebi #37

„დათოს“ 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „დათო“ ქართულ ბაზარზე მოღვაწეობს 2001 წლიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, სანაპირო კოსმონავტები №37.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს „დათოს“ საქმიანობას მეტალის მასალების იმპორტი და იმპორტირებული საქონლის ადგილზე რეალიზაცია წარმოადგენს. კომპანია მუშაობს როგორც საბითუმო, ასევე საცალო ვაჭრობის მიმართულებით და დიდ ყურადღებას უთმობს ხარისხიან და მომხმარებლებისთვის მოქნილი მომსახურების მიწოდებას. კომპანიის პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით და ყოველთვის პასუხობს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს. კომპანიაში გასაყიდი პროდუქცია ყოველთვის შერჩეულია მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით და გასაყიდ პროდუქციას მისაღები და ხელსაყრელი ფასები აქვს. შესაბამისად, კომპანიის უცვლელი და უკონკურენტო ადგილი ბაზარზე განპირობებულია პროდუქციის დაბალი ფასებით, სანდო და სწრაფი მომსახურებით, რაც მომხმარებლების კმაყოფილების მთავარი გარანტია.

შპს „დათოს“ მრავალწლიანი საქმიანი ურთიერთობა მსხვილ და სავაჭრო სფეროში გამოცდილ საერთაშორისო ბრენდებთან, ხელს უწყობს კომპანიაში არსებული პროდუქცია იყოს მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის.

აღსანიშნავია, კომპანიის ურთიერთობა საჯარო სექტორთან. გაყიდვების კუთხით, შპს „დათო“ კერძო და ფიზიკური პირების გარდა, ასევე თანამშრომლობს საჯარო უწყებებთან და ხშირად წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის მხარეს. კომპანიაში შექმნილია ყველა ის სტანდარტი (მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დანერგილია ელექტრონული ხელმოწერა), რაც აუცილებელია ელექტრონული მმართველობის ფარგლებში, საჯარო უწყებებისთვის მომსახურების მიწოდებასთან. კომპანიის მიერ შეთავაზებული მომსახურების ელექტრონული ფორმა, საჯარო უწყებებისთვის მიმზიდველია და ხელსაყრელია.

შპს „დათო“ ასევე დიდ ყურადღებას უთმობს კადრების შერჩევას. კომპანიას ჰყავს კვალიფიციური კადრები. შპს „დათო“ კადრების შერჩევისას, უპირატესობას ანიჭებს ობიექტურობას და ცდილობს კომპანიაში დასაქმების შესაძლებლობა მისცეს როგორც გამოცდილ კადრებს, ასევე ახლგაზრდა კანდიდატებს, რომლებსაც ეძლევათ შანსი კომპანიაში მუშაობისას დააგროვონ საინტერესო გამოცდილება. კვალიფიციური კადრები, კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

შპს „დათომ“ წლების წინ დაიმკვიდრა წამყვანი ადგილი მეტალის პროდუქციის სავაჭრო ბაზარზე და ღირსეულად ცდილობს პოზიციის შენარჩუნებას.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დათო“

ქობილისი, დიდუბე – ჩუღურეთის რ-ნი, სანაპირო კოსმონავტები №37
Ltd "D A T O" Tbilisi, district Didube – Chugureti, Sanapiro Kosmonavtebi #37

დასაქმებულთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ გავითავისოთ როგორც საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა, ასევე ვუპასუხოთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და შევუქმნათ ჩვენს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

დასაქმებულთა შრომის და სახანძრო უსაფრთხოების მიზეზისთვის კომპანიაში დანერგილია შემდეგი აქტივობები: ა) სახანძრო და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციისკენ მიმართული სამუშაოები; ბ) ტარდება სახანძრო და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები; გ) განსაზღვრულია შესაბამისი სერთიფიკატის მქონე შრომის და სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი; დასაქმებულებს პერიოდულად უტარდებათ სახანძრო და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები; დ) წარმოებს რისკების შეფასების ჟურნალი; ე) კომპანიის საკუთრებაში არსებულ ამწე მოწყობილობები მუდმივად გადიან შემოწმებას.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე. ამდენად, კომპანიაში მომუშავე ყველა პირი ვალდებულია გავლილი ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების პირველადი ინსტრუქტაჟი და ფლობდეს კომპანიაში უსაფრთხოდ მუშაობის და გადაადგილების წესებს. ასევე გავლილი ქონდეთ პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქტაჟი და სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი - რომელსაც უზრუნველყოფს თავად კომპანია.

შპს „დათო“ აქტიურად ზრუნავს დასაქმებულებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. კომპანიის მზაობა და მოტივაცია უზრუნველყოფს რომ თანამშრომლებისთვის შექმნილი იყოს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია აქტიურად ადევნებს თვალს, საკანონმდებლო მოთხოვნებს, შრომის უსაფრთხოების საზედამხებდებლო ორგანოს რეკომენდაციებს/რჩევებს და ცდილობს საუკეთესო პრაქტიკა დანერგოს და გამოიყენოს საქმიანობისას.

დასაქმებულთა უფლებები

შპს „დათო“ თვალს აედევნებს შრომის სფეროში მიმდინარე მოვლენებს, საკანონმდებლო ცვლილებებს და მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას დასაქმებულთა უფლებები. კომპანია უზრუნველყოფს შეუქმნას დასაქმებულებს შესაბამისი სამუშაო გარემო-პირობები და მისცეს საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალება.

2022 წელს, კომპანიამ სრულად განაახლა შრომითი ხელშეკრულებები და შესაბამისობაში მოიყვანა შრომის კანონმდებლობასთან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომპანიის სურვილს მისი დასაქმებულების უფლებების სრულფასოვან დაცვასთან დაკავშირებით.

შპს „დათო“ ითვალისწინებს შრომის ინსპექციის რეკომენდაციებს/მითითებებს და ხელს უწყობს დასაქმებულთათვის კომფორტული გარემოს შექმნას. კომპანია ორიენტირებულია, დასაქმებულებზე მორგებული სამუშაო გარემოსა და



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დათო“

ქობილისი, დიდუბე – ჩუღურეთის რ-ნი, სანაპირო კოსმონავტები №37
Ltd "D A T O" Tbilisi, district Didube – Chugureti, Sanapiro Kosmonavtebi #37

პირობების შექმნაზე. კომპანიის წარმომადგენლობა მუდმივად ისმენს დასაქმებულთა სურვილებს, მათ საჭიროებებს და სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისად, ცდილობს მათ გათვალისწინებას სამუშაო პროცესში.

ამასთან, კომპანია უზრუნველყოფს შრომითი ურთიერთობების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას, რაც ასევე გამოიხატება დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების უფლების დაცვაში. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია დასაქმებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, შესაბამისად, დასაქმებულთა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ კანონიერი მიზნებითა და უზრუნველყოფს დასაქმებულთა ინფორმირებას, მათი მონაცემების დამუშავების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების და უსაფრთხოების დაცვის მიზნებისთვის კომპანიაში მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, რის შესახებაც კომპანიის ტერიტორიაზე განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. ხოლო, ის დასაქმებულები რომელთა სამუშაო ადგილზეც მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი, წერილობით არიან ინფორმირებული, ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მათი უფლებების შესახებ.

კომპანია ზრუნავს დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების საკითხებზეც. დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულია ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით შეგროვებულ დასაქმებულთა მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მხოლოდ კანონიერი მიზნის არსებობის შემთხვევებში დაათვალიეროს ვიდეოაღწერები. დირექტორის ბრძანებით მას ევალება დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა. პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის მიზნით არსებობს შიდა კონტროლის მექანიზმი და კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევებში, შესაბამის თანამშრომელს შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ელექტრონულ ბაზებში, რომელშიც თავმოყრილია დასაქმებულთა მონაცემები, მათ შორის ინფორმაცია დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოს შესახებ, ხელმისაწვდომია მხოლოდ კონკრეტული უფლებამოსილი თანამშრომლისთვის და მესამე პირებს არ აქვთ შესაძლებლობა ჰქონდეთ წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე.

აღსანიშნავია, რომ კომპანიაში არ დაფიქსირებულა დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დარღვევის ინციდენტი.

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „დათო“, ადგილობრივ ბაზარზე მოპოვებული სანდო ადგილის მიუხედავად, მუდმივად ისწრაფვის განვითარებისკენ. კომპანია ცდილობს მოიძიოს და გაიზიაროს მსხვილი, უცხოელი პარტნიორების გამოცდილება. კომპანია ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვე სტანდარტებს, გაეცნოს საერთაშორისო ბაზარზე არსებულ სიახლეებს და საქართველოს მოსახლეობას მიაწოდოს ყველა იმ პროდუქტის სახეობა რაც აპრობირებულია თანამედროვე მსოფლიოში.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დათო“

ქ.თბილისი, დიდუბე – ჩუღურეთის რ-ნი, სანაპირო კოსმონავტები №37
Ltd "D A T O" Tbilisi, district Didube – Chugureti, Sanapiro Kosmonavtebi #37

კომპანიის განვითარების, ერთ-ერთი გეგმის ნაწილია ბაზარზე არ დამკვიდრდეს ხელოვნურად მაღალი ფასი და ამისთვის კომპანია დაუზოგავად იყენებს ადამიანურ და დროს რესურსს. ადგილობრივ ბაზარზე დაბალი ფასების შენარჩუნების მიზნით, კომპანია მუდმივ ძიებაშია. შპს „დათო“ ცდილობს საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს ისეთ პარტნიორებთან, რომელიც პროდუქციას შესთავაზებს მომხმარებლებისთვის ხელსაყრელ ფასში.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს „დათოს“ არ გააჩნია ფილიალები.

2022 წელს კომპანიას აქვს მხოლოდ ერთი სავაჭრო ობიექტი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ფეიქრების ქ. №12 - სადაც მდებარეობს გაყიდვების ოფისი და ასევე განთავსებულია სასაწყობო ბაზა.

კომპანიაში არსებული პროდუქციის შეძენა შესაძლებელია ადგილზე მისვლის გარეშე. დისტანციური შეკვეთა შესაძლოა განხორციელდეს კომპანიის ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო გზით. სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელს ასევე შეუძლია ისარგებლოს ადგილზე მიტანის სერვისით, ტვირთის მოცულობის მიუხედავად.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2022 წელს, კომპანიას არ ჩატარებია საკუთარ საქმიანობასთან ან/და მის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევები.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

რაც შეეხება კომპანიის ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს 2022 წელს კომპანიის მოგება შემცირებულია 2021 წელთან შედარებით. 2022 წლის წმინდა მოგება არის 3,178,782 (სამიმილიონ ასსამოცდათვრამეტიათას შვიდასოთხმოცდაორი) ლარი, ხოლო 2021 წლის მოგება არის 6,111,921 (ექვსიმილიონ ასთერთმეტიათას ცხრაასოცდაერთი) ლარი. ასევე 2021 წელთან შედარებით შემცირებულია გასაყიდად განკუთვნილის საქონლის შეძენა. 2021 წელს შეძენილი იყო 23,025,393 (ოცდასიმილი ოცდახუთიათას სამასოთხმოცდაცამეტი) ლარის გასაყიდად განკუთვნილი საქონელი, ხოლო 2022 წელს შეძენილი იყო 17,917,656.29 (ჩვიდმეტმილიონ ცხრაასჩვიდმეტიათას ექვსასორმოცდათექვსმეტი და 0,29) ლარის საქონელი. მოგების შემცირება, ასევე შეძენილი (იმპორტირებული) და გაყიდული საქონლის (რეალიზაციის) შემცირება განპირობებულია ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარებით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს, კომპანიას არ შეუძენია აქციები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია საქმიანობს საქართველოში და შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- რთული გლობალური ეკონომიკური პირობები
- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა
- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი საომარი მდგომარეობა
- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა

რუსეთ-უკრაინის ომი

- 2022 წლის თებერვლის ბოლოს, უკრაინაში დაწყებულმა ომმა დიდი გავლენა იქონია მიმდინარე ბიზნესზე Covid-19-ის გამოწვეული პანდემიის მსგავსად. რუსეთზე დაწყებული მკაცრი სანქციები მისი ეკონომიკის შემცირებას იწვევს, რაც ბუნებრივია აისახება ქართულ ბიზნესზეც. რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები და ლოგისტიკური გზების გამოყენება შეცვალა. ამან კი, საქართველოზეც და აქ მოქმედ ბიზნესებზეც იქონია გავლენა. ლოგისტიკური გზების ცვლილებასთან ერთად, გაიზარდა მიწოდების ვადები და ხარჯები. თუ კომპანია ომამდე თანამშრომლობდა უკრაინელ პარტნიორებთან და პროდუქცია იგზავნებოდა უკრაინიდან, ომის გავლენით, მოუწია სხვა ქვეყნებში პარტნიორების მოძიება, რამაც დამატებითი ხარჯი და დროის პრობლემები შექმნა.
- ყოველივე ამის შედეგად საყოველთაო კრიზისის ფონზე კომპანიის შემოსავლები შემცირებულია. კომპანიის მენეჯმენტი ვერ აკეთებს ზუსტ პროგნოზს თუ რა ეფექტი ექნება რუსეთ-უკრაინის ომს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით მიმდინარე ომსა და მასთან დაკავშირებულ რისკებს, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის უნარზე საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწრმომ.

თაღლითობა - კიბერდანაშაული

- თაღლითობა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მრავალფეროვანი ხდება დანაშაულის სახეებიც, ქონებრივი ზიანი შესაძლოა დადგეს თაღლითობის და მომხმარებელთა არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად. ტექნოლოგიის „მოტყუება“ და ამ გზით ბალანსის შევსების მცდელობები იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება. ასეთი მცდელობების, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი შეიძლება დასრულდეს წარმატებით, რა შემთხვევაშიც საერთაშორისო ორგანოების დახმარებით ხდება ზიანის სრულად აღმოფხვრა;
- ინფორმაციული უსაფრთხოება 21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და ფიშინგის მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად არ ვივიწყებთ მოსალოდნელი თავდასხმის



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დათო“

ქ.თბილისი, დიდუბე – ჩუღურეთის რ-ნი, სანაპირო კოსმონავტები №37

Ltd "D A T O" Tbilisi, district Didube – Chugureti, Sanapiro Kosmonavtebi #37

მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს ვაწესებთ კომპანიის მასშტაბით. დაცვის მექანიზმები მოიცავს უახლეს და ცნობილ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობით კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებზე.

კომპანიის საქმიანობისთვის არსებული სხვა რისკები

- მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე (პროდუქციის მიწოდებაზე), ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს საერთაშორისო პარტნიორებზე - ნდობის კუთხით, და ასევე მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს კომპანიის მომხმარებელთა უნარზე შეისყიდონ კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქცია.

დირექტორი

ნუგზარ დემეტრაშვილი

მთ. ბუღალტერი

ნატო კალანდაძე

შპს „დათო“

თარიღი: 25 სექტემბერი, 2023 წელი



„დათოს“ 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „დათო“ ქართულ ბაზარზე მოღვაწეობს 2001 წლიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, სანაპირო კოსმონავტები №37.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს „დათოს“ საქმიანობას მეტალის მასალების იმპორტი და იმპორტირებული საქონლის ადგილზე რეალიზაცია წარმოადგენს. კომპანია მუშაობს როგორც საბითუმო, ასევე საცალო ვაჭრობის მიმართულებით და დიდ ყურადღებას უთმობს ხარისხიან და მომხმარებლებისთვის მოქნილი მომსახურების მიწოდებას. კომპანიის პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით და ყოველთვის პასუხობს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს. კომპანიაში გასაყიდი პროდუქცია ყოველთვის შერჩეულია მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით და გასაყიდ პროდუქციას მისაღები და ხელსაყრელი ფასები აქვს. შესაბამისად, კომპანიის უცვლელი და უკონკურენტო ადგილი ბაზარზე განპირობებულია პროდუქციის დაბალი ფასებით, სანდო და სწრაფი მომსახურებით, რაც მომხმარებლების კმაყოფილების მთავარი გარანტია.

შპს „დათოს“ მრავალწლიანი საქმიანი ურთიერთობა მსხვილ და სავაჭრო სფეროში გამოცდილ საერთაშორისო ბრენდებთან, ხელს უწყობს კომპანიაში არსებული პროდუქცია იყოს მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის.

აღსანიშნავია, კომპანიის ურთიერთობა საჯარო სექტორთან. გაყიდვების კუთხით, შპს „დათო“ კერძო და ფიზიკური პირების გარდა, ასევე თანამშრომლობს საჯარო უწყებებთან და ხშირად წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის მხარეს. კომპანიაში შექმნილია ყველა ის სტანდარტი (მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დანერგილია ელექტრონული ხელმოწერა), რაც აუცილებელია ელექტრონული მმართველობის ფარგლებში, საჯარო უწყებებისთვის მომსახურების მიწოდებასთან. კომპანიის მიერ შეთავაზებული მომსახურების ელექტრონული ფორმა, საჯარო უწყებებისთვის მიმზიდველია და ხელსაყრელია.

შპს „დათო“ ასევე დიდ ყურადღებას უთმობს კადრების შერჩევას. კომპანიას ჰყავს კვალიფიციური კადრები. შპს „დათო“ კადრების შერჩევისას, უპირატესობას ანიჭებს ობიექტურობას და ცდილობს კომპანიაში დასაქმების შესაძლებლობა მისცეს როგორც გამოცდილ კადრებს, ასევე ახლგაზრდა კანდიდატებს, რომლებსაც ეძლევათ შანსი კომპანიაში მუშაობისას დააგროვონ საინტერესო გამოცდილება. კვალიფიციური კადრები, კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

შპს „დათომ“ წლების წინ დაიმკვიდრა წამყვანი ადგილი მეტალის პროდუქციის სავაჭრო ბაზარზე და ღირსეულად ცდილობს პოზიციის შენარჩუნებას.

დასაქმებულთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ გავითავისოთ როგორც საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა, ასევე ვუპასუხოთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და შევუქმნათ ჩვენს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

დასაქმებულთა შრომის და სახანძრო უსაფრთხოების მიზეზისთვის კომპანიაში დანერგილია შემდეგი აქტივობები: ა) სახანძრო და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციისკენ მიმართული სამუშაოები; ბ) ტარდება სახანძრო და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები; გ) განსაზღვრულია შესაბამისი სერთიფიკატის მქონე შრომის და სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი; დასაქმებულებს პერიოდულად უტარდებათ სახანძრო და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები; დ) წარმოებს რისკების შეფასების ჟურნალი; ე) კომპანიის საკუთრებაში არსებულ ამწე მოწყობილობები მუდმივად გადიან შემოწმებას.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე. ამდენად, კომპანიაში მომუშავე ყველა პირი ვალდებულია გავლილი ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების პირველადი ინსტრუქტაჟი და ფლობდეს კომპანიაში უსაფრთხოდ მუშაობის და გადაადგილების წესებს. ასევე გავლილი ჰქონდეთ პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქტაჟი და სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი - რომელსაც უზრუნველყოფს თავად კომპანია.

შპს „დათო“ აქტიურად ზრუნავს დასაქმებულებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. კომპანიის მზაობა და მოტივაცია უზრუნველყოფს რომ თანამშრომლებისთვის შექმნილი იყოს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია აქტიურად ადევნებს თვალს, საკანონმდებლო მოთხოვნებს, შრომის უსაფრთხოების საზედამხებდებლო ორგანოს რეკომენდაციებს/რჩევებს და ცდილობს საუკეთესო პრაქტიკა დანერგოს და გამოიყენოს საქმიანობისას.

დასაქმებულთა უფლებები

შპს „დათო“ თვალს აედევნებს შრომის სფეროში მიმდინარე მოვლენებს, საკანონმდებლო ცვლილებებს და მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას დასაქმებულთა უფლებები. კომპანია უზრუნველყოფს შეუქმნას დასაქმებულებს შესაბამისი სამუშაო გარემო-პირობები და მისცეს საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალება.

2022 წელს, კომპანიამ სრულად განაახლა შრომითი ხელშეკრულებები და შესაბამისობაში მოიყვანა შრომის კანონმდებლობასთან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომპანიის სურვილს მისი დასაქმებულების უფლებების სრულფასოვან დაცვასთან დაკავშირებით.

შპს „დათო“ ითვალისწინებს შრომის ინსპექციის რეკომენდაციებს/მითითებებს და ხელს უწყობს დასაქმებულთათვის კომფორტული გარემოს შექმნას. კომპანია ორიენტირებულია, დასაქმებულებზე მორგებული სამუშაო გარემოსა და

პირობების შექმნაზე. კომპანიის წარმომადგენლობა მუდმივად ისმენს დასაქმებულთა სურვილებს, მათ საჭიროებებს და სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისად, ცდილობს მათ გათვალისწინებას სამუშაო პროცესში.

ამასთან, კომპანია უზრუნველყოფს შრომითი ურთიერთობების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას, რაც ასევე გამოიხატება დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების უფლების დაცვაში. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია დასაქმებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, შესაბამისად, დასაქმებულთა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ კანონიერი მიზნებითა და უზრუნველყოფს დასაქმებულთა ინფორმირებას, მათი მონაცემების დამუშავების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების და უსაფრთხოების დაცვის მიზნებისთვის კომპანიაში მიმდინარეობის ვიდეოთვალთვალი, რის შესახებაც კომპანიის ტერიტორიაზე განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. ხოლო, ის დასაქმებულები რომელთა სამუშაო ადგილზეც მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი, წერილობით არიან ინფორმირებული, ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მათი უფლებების შესახებ.

კომპანია ზრუნავს დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების საკითხებზეც. დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულია ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით შეგროვებულ დასაქმებულთა მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მხოლოდ კანონიერი მიზნის არსებობის შემთხვევებში დაათვალიეროს ვიდეოჩანაწერები. დირექტორის ბრძანებით მას ევალება დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა. პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის მიზნით არსებობს შიდა კონტროლის მექანიზმი და კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევებში, შესაბამის თანამშრომელს შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ელექტრონულ ბაზებში, რომელშიც თავმოყრილია დასაქმებულთა მონაცემები, მათ შორის ინფორმაცია დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოს შესახებ, ხელმისაწვდომია მხოლოდ კონკრეტული უფლებამოსილი თანამშრომლისთვის და მესამე პირებს არ აქვთ შესაძლებლობა ჰქონდეთ წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე.

აღსანიშნავია, რომ კომპანიაში არ დაფიქსირებულა დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დარღვევის ინციდენტი.

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „დათო“, ადგილობრივ ბაზარზე მოპოვებული სანდო ადგილის მიუხედავად, მუდმივად ისწრაფვის განვითარებისკენ. კომპანია ცდილობს მოიძიოს და გაიზიაროს მსხვილი, უცხოელი პარტნიორების გამოცდილება. კომპანია ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვე სტანდარტებს, გაეცნოს საერთაშორისო ბაზარზე არსებულ სიახლეებს და საქართველოს მოსახლეობას მიაწოდოს ყველა იმ პროდუქტის სახეობა რაც აპრობირებულია თანამედროვე მსოფლიოში.

კომპანიის განვითარების, ერთ-ერთი გეგმის ნაწილია ბაზარზე არ დამკვიდრდეს ხელოვნურად მაღალი ფასი და ამისთვის კომპანია დაუზოგავად იყენებს ადამიანურ და დროს რესურსს. ადგილობრივ ბაზარზე დაბალი ფასების შენარჩუნების მიზნით, კომპანია მუდმივ ძიებაშია. შპს „დათო“ ცდილობს საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს ისეთ პარტნიორებთან, რომელიც პროდუქციას შესთავაზებს მომხმარებლებისთვის ხელსაყრელ ფასში.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს „დათოს“ არ გააჩნია ფილიალები.

2022 წელს კომპანიას აქვს მხოლოდ ერთი სავაჭრო ობიექტი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ფეიქრების ქ. №12 - სადაც მდებარეობს გაყიდვების ოფისი და ასევე განთავსებულია სასაწყობო ბაზა.

კომპანიაში არსებული პროდუქციის შეძენა შესაძლებელია ადგილზე მისვლის გარეშე. დისტანციური შეკვეთა შესაძლოა განხორციელდეს კომპანიის ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო გზით. სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელს ასევე შეუძლია ისარგებლოს ადგილზე მიტანის სერვისით, ტვირთის მოცულობის მიუხედავად.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2022 წელს, კომპანიას არ ჩატარებია საკუთარ საქმიანობასთან ან/და მის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევები.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

რაც შეეხება კომპანიის ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს 2022 წელს კომპანიის მოგება შემცირებულია 2021 წელთან შედარებით. 2022 წლის წმინდა მოგება არის 3,178,782 (სამიმილიონ ასსამოცდათვრამეტათას შვიდასოთხმოცდაორი) ლარი, ხოლო 2021 წლის მოგება არის 6,111,921 (ექვსიმილიონ ასთერთმეტათას ცხრაასოცდაერთი) ლარი. ასევე 2021 წელთან შედარებით შემცირებულია გასაყიდად განკუთვნილის საქონლის შეძენა. 2021 წელს შეძენილი იყო 23,025,393 (ოცდასიმილი ოცდახუთიათას სამასოთხმოცდაცამეტი) ლარის გასაყიდად განკუთვნილი საქონელი, ხოლო 2022 წელს შეძენილი იყო 17,917,656.29 (ჩვიდმეტიმილიონ ცრასჩვიდმეტიათას ექვსასორმოცდათექვსმეტი და 0,29) ლარის საქონელი. მოგების შემცირება, ასევე შეძენილი (იმპორტირებული) და გაყიდული საქონლის (რეალიზაციის) შემცირება განპირობებულია ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარებით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს, კომპანიას არ შეუძენია აქციები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია საქმიანობს საქართველოში და შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- რთული გლობალური ეკონომიკური პირობები
- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა
- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი საომარი მდგომარეობა
- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა

რუსეთ-უკრაინის ომი

- 2022 წლის თებერვლის ბოლოს, უკრაინაში დაწყებულმა ომმა დიდი გავლენა იქონია მიმდინარე ბიზნესზე Covid-19-ის გამოწვეული პანდემიის მსგავსად. რუსეთზე დაწესებული მკაცრი სანქციები მისი ეკონომიკის შემცირებას იწვევს, რაც ბუნებრივია აისახება ქართულ ბიზნესზეც. რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები და ლოგისტიკური გზების გამოყენება შეცვალა. ამან კი, საქართველოზეც და აქ მოქმედ ბიზნესებზეც იქონია გავლენა. ლოგისტიკური გზების ცვლილებასთან ერთად, გაიზარდა მიწოდების ვადები და ხარჯები. თუ კომპანია ომამდე თანამშრომლობდა უკრაინელ პარტნიორებთან და პროდუქცია იგზავნებოდა უკრაინიდან, ომის გავლენით, მოუწია სხვა ქვეყნებში პარტნიორების მოძიება, რამაც დამატებითი ხარჯი და დროის პრობლემები შექმნა.
- ყოველივე ამის შედეგად საყოველთაო კრიზისის ფონზე კომპანიის შემოსავლები შემცირებულია. კომპანიის მენეჯმენტი ვერ აკეთებს ზუსტ პროგნოზს თუ რა ეფექტი ექნება რუსეთ-უკრაინის ომს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით მიმდინარე ომსა და მასთან დაკავშირებულ რისკებს, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის უნარზე საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწრმომ.

თაღლითობა - კიბერდანაშაული

- თაღლითობა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მრავალფეროვანი ხდება დანაშაულის სახეებიც, ქონებრივი ზიანი შესაძლოა დადგეს თაღლითობის და მომხმარებელთა არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად. ტექნოლოგიის „მოტყუება“ და ამ გზით ბალანსის შევსების მცდელობები იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება. ასეთი მცდელობების, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი შეიძლება დასრულდეს წარმატებით, რა შემთხვევაშიც სამართალდამცავი ორგანოების დახმარებით ხდება ზიანის სრულად აღმოფხვრა;
- ინფორმაციული უსაფრთხოება 21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და ფიშინგის მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად არ ვივიწყებთ მოსალოდნელი თავდასხმის

მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს ვაწესებთ კომპანიის მასშტაბით. დაცვის მექანიზმები მოიცავს უახლეს და ცნობილ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობით კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებზე.

კომპანიის საქმიანობისთვის არსებული სხვა რისკები

- მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე (პროდუქციის მიწოდებაზე), ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს საერთაშორისო პარტნიორებზე - ნდობის კუთხით, და ასევე მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს კომპანიის მომხმარებელთა უნარზე შეისყიდონ კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქცია.

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ნუგზარ დემეტრაშვილი

ნატო კალანდაძე

შპს „დათო“

თარიღი: 25 სექტემბერი, 2023 წელი